საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი

საჯარო მოხელეთა პროფესიული შესაძლებლობების ზრდა გადაწყვეტილების მიღებასა და მოლაპარაკებების წარმართვის ტექნიკაში

ვერიკო ხელისუფალი

ხარისხიანი ახალგაზრდული სერვისების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის

(საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი)

თბილისი

2022

სარჩევი

რეზიუმე 3
შესავალი 4
პრობლემის აღწერა 6
პრობლემის გადაჭრის გზები (ალტერნატივები) 9
რეკომენდაციები 13
ბიბლიოგრაფია 15

რეზიუმე

წინამდებარე საჯარო პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია ხარისხიანი ახალგაზრდული სერვისების ხელმისაწვდომობის საკითხი მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. გაანალიზებულია ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები და განხილულია პრობლემის მოგვარების გზები.

დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს საქართველოში და საერთაშორისო დონეზე არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ახალგაზრდული სერვისების დანერგვისა და მათი ხელმისაწვდომობის მექანიზმების დახვეწა. ასევე, ალტერნატივებისა და რეკომენდაციების შემუშავება როგორც სამთავრობო, ისე სფეროში მომუშავე ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის.

ნაშრომი ეყრდნობა ემპირიული მონაცემების ანალიზს და მასში განხილულია კვლევის საგანთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო, სფეროში არსებული სტრატეგიული და ანალიტიკური დოკუმენტები, განხორციელებული კვლევები და საერთაშორისო პრაქტიკა.

პრობლემის გადასაჭრელად დოკუმენტში გამოტანილია სამი ალტერნატივა: (1) ახალგაზრდული სერვისების ხარისხის სტანდარტ(ებ)ისა და მათი შეფასების მექანიზმების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით, ქვეყანაში მაღალი ხარისხის სერვისების შექმნას, (2) მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული სერვისების შემუშავება და (3) ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის ინსტიტუციონალიზაცია.

დოკუმენტში გაანალიზებულია ზემოთ აღნიშნული თითოეული ალტერნატივის დადებითი და უარყოფითი მხარეები. გამოყენებულია მულტიფაქტორული ანალიზის მეთოდი. ალტერნატივების პარალელურად, დოკუმენტში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდას.

შესავალი

ახალგაზრდები ქვეყნისთვის განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენენ და მათი განვითარების მხარდამჭერი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. როდესაც ახალგაზრდების განვითარებასა და პოტენციალის რეალიზებაზე ვსაუბრობთ, თავისთავად ვგულისხმობთ მათთვის ისეთი სერვისების შექმნასა და განხორციელებას, რომლებიც შეესაბამება ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებს, პასუხობს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე არსებულ გამოწვევებს, ხელს უწყობს მათ ეკონომიკურ გაძლიერებას. ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ განხორციელებული კვლევები კი ადასტურებს რომ დღეს ხარისხიანი ახალგაზრდული სერვისების ხელმისაწვდომობა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებთათვის.

თუ უახლეს ისტორიულ კონტექსტს გადავხედავთ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან გამჭოლ პრიორიტეტად სახელდებოდა ახალგაზრდული სფეროს განვითარება. 2012 წელს შემუშავდა სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის სამუშაო ვერსიის განხილვებში თავად ახალგაზრდები მონაწილეობდნენ, ეს იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის პრეცენდენტი. მოგვიანებით დოკუმენტი გადამუშავდა, დაიხვეწა და 2014 წელს დამტკიცდა ახალი „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი“ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის N553 განკარგულება), მომდევნო წელს დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (2015-2020)“ (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის N349 განკარგულება).

აღნიშნული დოკუმენტებით სახელმწიფო აღიარებდა ახალგაზრდების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში და მიზნად ისახავდა ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, სამოქმედო გეგმა მოიცავდა კონკრეტულ და დროში გაწერილ პროგრამებს, პროექტებსა და ღონისძიებებს, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს უნდა განეხორციელებინათ. მიუხედავად ამისა, ვერ მოხერხდა სამოქმედო გეგმის სრულფასოვნად განხორციელება. 2019 წელს შეფასდა (in media res) აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულება. ანგარიშის თანახმად, 207 პროგრამიდან 59 პროგრამის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა. დარჩენილი 148 პროგრამიდან 106 ან განხორციელების პროცესში, ან უკვე განხორციელებული იყო. შეჩერებული ან განუხორციელებელი აღმოჩნდა 42 პროგრამა. ასევე, კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა ახალგაზრდების მდგომარეობაზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკის დადებითი ან უარყოფითი გავლენის შეფასება. შესაბამისად, რთულია ვისაუბროთ აღნიშნული პროგრამების

ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე („საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების სტატუსის შეფასება“ - კვლევის ანგარიში, 2019).

აღნიშნული შეფასებიდან მალევე, განხორციელდა „ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევა“ (კვლევის ანგარიში, გვ. 6, 2020), რომელშიც გამოიკვეთა, რომ გამოკითხული ახალგაზრდების 57%-ს ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. თუმცა, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ „ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევების“ შესახებ 2021 წელს განხორციელებული კვლევიდან ჩანს, რომ ახალგაზრდობის მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობის მაჩვენებელი ყველა რეგიონში დაბალია (კვლევის ანგარიში, გვ.16, 2021).

სწორედ ახალგაზრდობის საჭიროებების კვლევებზე, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა და 2020 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“ (საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 2020). ხოლო 2022 წლის დეკემბერში კი დამტკიცდა „საქართველოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“ (საქართველოს მთავრობის N606 დადგენილება), რომლის მიხედვითაც განისაზღვრა 5 სტრატეგიული მიზანი და დამტკიცდა ამ მიზნების შესაბამისად გაწერილი 2023 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ ახალგაზრდებისთვის დაგეგმილი აქტივობები არის თავმოყრილი, რაც ქმნის მოლოდინს, რომ გაიზრდება მათზე ხელმისაწვდომობაც.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო სტრატეგია ქმნის ზოგად ჩარჩოს ახალგაზრდული პოლიტიკისთვის, თუმცა ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების დაძლევა შეუძლებელია ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური ჩართულობის გარეშე. ამ შემთხვევაში საგულისხმოა მუნიციპალურ დონეზე მტკიცებულებებზე დაფუძნებული ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ნაკლები მზაობა ან გამოცდილების არარსებობა, ასევე ახალგაზრდობის სფეროში მომუშავე ადამიანური რესურსის კომპეტენციების ნაკლებობა.

ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტების მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ ახალგაზრდების განვითარება და კეთილდღეობა ყოველთვის წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ დეკლარირებულ პრიორიტეტს, თუმცა მისი აღსრულების მექანიზმები არ იყო ქმედითი ან თანაბრად ხელმისაწვდომი.

სწორედ ამიტომ, კვლევის მიზანს წარმოადგენს ხარისხიანი ახალგაზრდული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის ოპტიმალური მექანიზმების შემუშავება. კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია სამაგიდო კვლევა, გაანალიზებულია ახალგაზრდობის სფეროში არსებული კვლევები, შესწავლილია საკანონმდებლო ბაზა და პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე განხილულია ახალგაზრდობის სფეროში საერთაშორისო გამოცდილება.

პრობლემის აღწერა

„ახალგაზრდული საქმიანობა ფართო ტერმინია, რომელიც სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, გარემოს დაცვის ან/და პოლიტიკური ხასიათის აქტივობებს აერთიანებს. ახალგაზრდული საქმიანობა ეფუძნება არაფორმალურ და ფორმალურს გარე სწავლების პროცესს, რომელშიც ახალგაზრდები ნებაყოფლობით არიან ჩართული. ახალგაზრდულ საქმიანობას, სამსახურეობრივად ან მოხალისეობრივ საწყისებზე, ახორციელებს ახალგაზრდული მუშაკი ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ახალგაზრდებისთვის, მათ მიერ და მათთან ერთად. ახალგაზრდული საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური პრაქტიკაა, რომელიც ახალგაზრდებთან და იმ თემთან ხორციელდება, სადაც ისინი ცხოვრობენ და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას“ (ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები წევრ სახელმწიფოებს, 2017). სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ახალგაზრდულ სფეროში მომუშავე ორგანიზაციები და ახალგაზრდული მუშაკები აცნობიერებდნენ და მკაფიოდ ხედავდნენ იმ მრავალფეროვან საჭიროებებს, რომლებიც აუცილებელია ხარისხიანი ახალგაზრდული სერვისების დანერგვისა და განხორციელებისთვის. მხოლოდ ტერმინის განმარტებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ ის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ხარისხიანი ახალგაზრდული სერვისების შექმნას და მათ ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

2022 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა იყო 3 688 647. მათგან ახალგაზრდების (6-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი) რაოდენობაა 1 101 029, რაც მოსახლეობის 29,8%-ს შეადგენს. ახალგაზრდების 52,1% (574 107) მამაკაცია, ხოლო 47,9% (526 922) - ქალი. ახალგაზრდების რაოდენობა განსხვავებულია რეგიონების მიხედვითაც (საქსტატი, 2022). შესაბამისად, განსხვავებულია ახალგაზრდული სერვისების ხელმისაწვდომობა და მათში ჩართულობა.

2022 წელს სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელებული „ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევის“ თანახმად, გამოკითხული ახალგაზრდების 35% ამბობს, რომ მათ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა, ხოლო 21%-ის განცხადებით, არავის მიუწვევია მსგავს აქტივობაში ჩასართავად, ასევე, 19% ამბობს, რომ არ იყო მისთვის საინტერესო ღონისძიება, ხოლო 16%-ის თქმით, არ ჰქონდათ თავისუფალი დრო. ამავეს ადასტურებს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ 2021 წელს განხორციელებული კვლევა ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების დონეზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ახალგაზრდული სერვისების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონე. ძირითადად ახალგაზრდები ინფორმაციას სოციალური ქსელების მეშვეობით ან მეგობრებისგან იგებენ. ინფორმირებულობის პარალელურად, კვლევამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოავლინა, რესპონდენტთა 44%-ის თქმით თავიანთ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ახალგაზრდების შეკრებისთვის ფიზიკური სივრცე. ზემოთ აღნიშნული გარემოებები კი ცხადჰყოფს, რომ მუნიციპალურ დონეზე ვერ ხერხდება ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული ახალგაზრდული სერვისების დაგეგმვა, უკვე არსებული პროგრამების შემუშავებაში კი ახალგაზრდების მონაწილეობის ხარისხი ძალიან დაბალია. საგულისხმოა, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით, 2022 წლის მდგომარეობით, მხოლოდ 19 მუნიციპალიტეტში არის დამტკიცებული ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი და შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდული სერვისების ხარისხის შეფასების მექანიზმების არარსებობა. ახალგაზრდული საქმიანობა ეფუძნება არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიას და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას. აღნიშნული პრიორიტეტი დეტალურად არის გაწერილი „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციასა“ და „საქართველოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“ დოკუმენტებში, თუმცა დღემდე არ არსებობს ახალგაზრდული სერვისების ხარისხის ერთიანი სტანდარტი, სადაც გაწერილი იქნება ახლგაზრდებისთვის განკუთვნილი სერვისების ხარისხის განმსაზღვრელი ასპექტები, მაგ.: აქტივობების მოწყობისა და განხორციელების პრინციპები და რეგულაციები, მონაწილეთა ფიზიკური და მენტალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შედეგზე ორიენტირებული არაფორმალური განათლების აქტივობების დაგეგმვის მეთოდოლოგია, ახალგაზრდულ სფეროში მომუშავე სპეციალისტების კვალიფიკაცია და სხვა. რაც შემდგომში შექმნის შესაძლებლობას

შეფასდეს ახალგაზრდული სერვისების გავლენა ახალგაზრდების განვითარებაზე. სფეროში მომუშავე მუნიციპალური ორგანიზაციები და სხვა სახელმწიფო უწყებები ახალგაზრდული პროექტების დაგეგმვისას ხელმძღვანელობენ ლოკალურად შემუშავებული წესებით, რომელიც როგორც წესი მხოლოდ კონკრეტული აქტივობის განხორციელებას უკავშირდება. მაგ. ახალგაზრდული ბანაკების განხორციელების რეგლამენტი, ექსკურსიების გამართვის წესი და სხვა. რომლებიც მტკიცდება კონკრეტული უწყების შიდა ბრძანებით და მოქმედებს აქტივობის განხორციელების ვადით. ახალგაზრდული ორგანიზაციების შემთხვევაში ეს რეგულაციები უფრო მსუბუქია და ძირითადად დაკავშირებულია დამფინანსებელი/გრანტის გამცემი ორგანიზაციის მოთხოვნებზე. შესაბამისად, განსხვავებულია ღონისძიებების ხარისხი და ვერ ხერხდება აღნიშნული აქტივობების შედეგების გავლენის შეფასება გრძელვადიან პერსპექტივაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს დონეზე არსებობდეს ერთიანი ხედვა და მიდგომა ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი სერვისების ხარისხის განსაზღვრისა და შეფასების მექანიზმების შესახებ.

ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის გამოწვევებზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს ახალგაზრდული მუშაკის, როგორც პროფესიის აღიარებისა და მათი კომპეტენციების განვითარების მიმართულებით არსებული საჭიროებები. ახალგაზრდული მუშაკი არის ადამიანი, რომელიც მუშაობს ახალგაზრდებთან სხვადასხვა ტიპის არაფორმალურ გარემოში და ეხმარება მათ ცხოვრებისეული უნარების განვითარებაში, ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და მათთვის რელევანტური, აქტუალური, საჭირო გადაწყვეტილებების მიღებაში. ისინი გეგმავენ, ორგანიზებას უკეთებენ და ახორციელებენ სათემო პროგრამებს ახალგაზრდებისთვის და მათთან ერთად. ახალგაზრდული მუშაკის როლია, ახალგაზრდებს შესთავაზოს მრავალფეროვანი, მათ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული სერვისები. ახალგაზრდული მუშაკების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების, დასაქმებისა და ტრენინგის მიღმა მყოფი (ე.წ. NEET) ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავებაში (2021 წლის მონაცემებით, ახალგაზრდების (14-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი) 34,6% მიეკუთვნება ე.წ. NEET-კატეგორიას). იმისთვის რომ ახალგაზრდულმა მუშაკმა შეძლოს ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციის განვითარება, შესთავაზოს მათ ხარისხიანი სერვისები, მნიშვნელოვანია, რომ ის თავად ფლობდეს თავისი პრაქტიკის სწორად, ეფექტურად, ახალგაზრდული საქმიანობის პრინციპებისა და ღირებულებების შესაბამისად წარმართვისთვის საჭირო კომპეტენციებს. თუმცა, საქართველოში სამართლებრივი თვალსაზრისით, არ არსებობს ახალგაზრდული მუშაკის პროფესია, არ არსებობს ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის სტანდარტი, მათი საქმიანობის ხარისხის კონტროლის მექანიზმები და აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები, შედეგად კი ჩნდება რისკი, რომ ახალგაზრდები ან

საერთოდ ვერ შეძლებენ ახალგაზრდულ საქმიანობაში მონაწილეობას ან ჩაერთვებიან დაბალხარისხიან პროგრამებში.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემის უარყოფითი შედეგია ხარისხიანი არაფორმალური საგანმანათლებლო ახალგაზრდული სერვისების არარსებობა ან სიმცირე, რაც ნეგატიურად აისახება ახალგაზრდების გაძლიერებისა და მათთვის სასიცოცხლო უნარების განვითარებაზე.

პრობლემის გადაჭრის გზები

(ალტერნატივები)

სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი ახალგაზრდული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია განვიხილოთ რამდენიმე ალტერნატივა:

I ალტერნატივა - ახალგაზრდული სერვისების ხარისხის სტანდარტ(ებ)ისა და მათი შეფასების მექანიზმების შემუშავება.

ახალგაზრდული სფეროს განვითარება ჩვენს ქვეყანაში ნელი ტემპით ვითარდება, ბოლო ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან გამჭოლ პრიორიტეტად სახელდებოდა ახალგაზრდული სფეროს განვითარება და სხვადასხვა პერიოდულობით იქმნებოდა ამ მიმართულებით სტრატეგიული და პოლიტიკის დოკუმენტები. თუმცა, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ არსებობს ახალგაზრდული სერვისების ხარისხის კონტროლის მექანიზმები, შედეგად კი ჩნდება რისკი, რომ ახალგაზრდები ან საერთოდ ვერ შეძლებენ ახალგაზრდულ საქმიანობაში მონაწილეობას ან ჩაერთვებიან დაბალხარისხიან პროგრამებში.

ახალგაზრდული სერვისების ხარისხის სტანდარტ(ებ)ისა და მათი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებით ქვეყანაში შეიქმნება ერთიანი მექანიზმი, რომელიც ახალგაზრდულ სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს, მუნიციპალიტეტების ახალგაზრდულ სამსახურებს, ახალგაზრდულ მუშაკებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მიცემს დაგეგმონ და განახორციელონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ხარისხიანი ახალგაზრდული სერვისები. გარდა ამისა, ახალგაზრდული სერვისების განხორციელების პროცესში შემცირდება ხარისხის ცვალებადობის/გაუარესების დინამიკა, გაუმჯობესდება ახალგაზრდული მუშაკების საქმიანობა და ეფექტიანობა, გრძელვადიან პერსპექტივაში გაუმჯობესდება სერვისებით კმაყოფილების ხარისხი.

სტანდარტის დოკუმენტ(ებ)ში მკაფიოდ განისაზღვრება სხვადასხვა ტიპის ახალგაზრდული სერვისების განხორციელების ხარისხის კრიტერიუმები, როგორებიც არის კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა და უსაფრთხო ფიზიკური გარემო, კომპეტენტური და კვალიფიციური პერსონალი, სტრუქტურირებული და დეტალური პროგრამა და სხვა.

გარდა ამისა, დოკუმენტ(ებ)ში წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ახალგაზრდული სერვისების განმახორციელებელი ორგანიზაციების აკრედიტაციის პროცედურების შესახებ, რაც ახალგაზრდულ სერვისებზე მომუშავე ორგანიზაციებს შესაძლებლობას მისცემს დასახონ განვითარების მიმართულებები უფრო მკაფიო ხედვისა და სტანდარტების შესაბამისად.

ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი მხარეების პარალელურად, არსებობს რამდენიმე რისკი, რომელიც შესაძლოა თან ახლდეს ალტერნატივის განხორციელებას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტზე მუშაობის პროცესი შეიძლება იყოს ხანგრძლივი და დროში გაწელილი, რადგან საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის შემდეგ აუცილებელია სტანდარტების ქართულ რეალობასთან შესაბამისობა და ადაპტირება, საჯარო განხილვების მოწყობა და სფეროს განვითარებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით საბოლოო დოკუმენტის სრულყოფა. ასევე, სტანდარტების გაჩენამ შესაძლოა შეამციროს ახალგაზრდული სერვისების პროვაიდერების რაოდენობა, რაც თავისთავად შესაძლოა გახდეს ახალგაზრდული სერვისების შემცირების მიზეზი.

II ალტერნატივა - მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული ახალგაზრდული სერვისების შემუშავება.

საქართველოში ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლის მიზნით განხორციელებული არაერთი კვლევა ცხადჰყოფს, რომ მუნიციპალურ დონეზე ვერ ხერხდება ახალგაზრდების საჭიროებებსა მორგებული სერვისების დაგეგმა, უკვე არსებული პროგრამების შემუშავებაში კი ახალგაზრდების მონაწილეობის ხარისხი ძალიან დაბალია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მუნიციპალურ დონეზე დაგეგმილი ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი პროექტების შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს ახალგაზრდების ინტერესები.

აღნიშნული ალტერნატივის განხორციელებისთვის საჭიროა ადგილობრივი თვითმმართველობები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სახელმწიფო და ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, რაც შესაძლებლობას მისცემს მუნიციპალიტეტებს შეიმუშაონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ახალგაზრდების საჭიროებებზე მიმართული, მონაწილეობრივი მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა. შესაბამისად, ადგილობრივ დონეზე განხორციელდება

ახალგაზრდული საჭიროებების კვლევა, გამოიკვეთება ახალგაზრდების ინტერესები და მოლოდინები, შესაძლებელი გახდება მუნიციპალური ბიუჯეტი დაიგეგმოს ახლგაზრდების აქტიური მონაწილეობით. ეს კი შედეგად მოიტანს ერთი მხრივ სისტემურად და თანმიმდევრულად დაგეგმილ მუნიციპალურ ახალგაზრდულ პოლიტიკას, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაზე იქნება გათვლილი, მეორე მხრივ კი გაიზრდება ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა არაფორმალური განათლების, სპორტულ, შემეცნებით ან/და სხვა სახის ახალგაზრდულ აქტივობებში ადგილობრივი ახალგაზრდების მონაწილეობა.

ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე სამსახურის წარმომადგენლები არ ფლობენ სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას ხარისხიანი ახალგაზრდული სერვისების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით, რაც შედეგად, მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი ახალგაზრდული სერვისების ხელმისაწვდომობას. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ალტერნატივის ფარგლებში კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროცესების პარალელურად, მნიშვნელოვანია ადამიანისეული რესურსის კომპეტენციების განვითარება, ტრენინგ-პროგრამების შემუშავება და მათი გადამზადება.

შედეგად მივიღებთ მუნიციპალურ დონეზე დაგეგმილ თანმიმდევრულ, ახალგაზრდების საჭიროებებზე ორიენტირებულ სერვისებს, რომელსაც დაგეგმავენ და განახორციელებენ კომპეტენტური და კვალიფიციური კადრები. ეს კი თავის მხრივ გაზრდის სერვისებში ახალგაზრდების ჩართულობის დონეს და ხელმისაწვდომობას.

თუმცა, ამჯერადაც უნდა აღინიშნოს ალტერნატივის უარყოფითი მხარეები და რისკები. თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ყოველწლიურად იზრდება რეგიონებიდან დიდ ქალაქებში ახალგაზრდების შიდა მიგრაცია. ამიტომ, არსებობს რისკი, რომ ხარისხიანი სერვისების შემუშავება არასაკმარისი აღმოჩნდება, თუ მას არ მოჰყვება ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების, დასაქმების შესაძლებლობები.

III ალტერნატივა - ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის ინსტიტუციონალიზაცია.

„სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“-ის შესაბამისად „ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით საჭიროა, საქართველოში ყველა ახალგაზრდისთვის ხელმისაწვდომი გახდეს საკვანძო კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი ხარისხიანი არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამები, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისები. ამისთვის კი მნიშვნელოვანია განხორციელდეს ყველა საჭირო ღონისძიება, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებასა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების დანერგვას“.

იმისთვის რომ ახალგაზრდული საქმიანობა გახდეს სანდო და რეალური პროფესია, პირველ რიგში, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მისი ოფიციალური აღიარება და მისი ინსტიტუციონალიზაცია. შესაბამისად, ალტერნატივის განხორციელებით შეიქმნება და დაინერგება ახალგაზრდული მუშაკის პროფესია. შემუშავდება ოფიციალური დოკუმენტი - პროფესიის სტანდარტი, რომელიც გააერთიანებს პროფესიის ეთიკის კოდექსს, დარგობრივ მახასიათებლებს და საჭირო კომპეტენციების ჩამონათვალს.

ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის ინსტიტუციონალიზაციის განუყოფელი ნაწილია პრაქტიკოსი და დამწყები ახალგაზრდული მუშაკების კომპეტენციების განვითარებაზე ზრუნვა. შესაბამისად, ალტერნატივის ფარგლებში შემუშავდება საგანმანათლებლო პროგრამები ახალგაზრდული მუშაკების, როგორც ახალგაზრდული საქმიანობის მთავარი აქტორების მომზადების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სერტიფიცირებისთვის, შეიქმნება ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად განვითარებული კომპეტენციების, ასევე, პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკების გამოცდილების აღიარებისა და ვალიდაციის მექანიზმები.

ვინაიდან, ახალგაზრდული საქმიანობა ჯერ კიდევ არ არის აღიარებული პროფესია და საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია სფეროზე და იმ პოზიტიურ შედეგებზე, რაც ხარისხიან ახალგაზრდულ საქმიანობას მოაქვს ინდივიდებისთვის და სოციუმისთვის. ამიტომ საჭიროა ცნობიერების, ცნობადობისა და სანდოობის ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვაც.

ალტერნატივების მულტიფაქტორული ანალიზი

განხილული ალტერნატივების ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით, დოკუმენტში გამოყენებულია მულტიფაქტორული ანალიზის მეთოდი. ალტერნატივის კრიტერიუმთან შესაბამისობა ფასდება 1-დან 10-მდე ქულით (1 ქულა ყველაზე უარყოფითია, ხოლო 10- ყველაზე დადებითი).

ალტერნატივა	**კრიტერიუმები**					
	ახალგაზრდული სერვისების ხარისხის ზრდა	**ახალგაზრდული სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა**	**გავლენა ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარებაზე**	**ღირებულება**	**განხორციელებადობის სირთულე**	**ჯამი**
	20%	**30%**	**30%**	**10%**	**10%**	**100%**

ახალგაზრდული სერვისების ხარისხის სტანდარტებისა და მათი შეფასების მექანიზმების შემუშავება	10X20=200	7X30=210	1x30=30	10X10=100	10X10=100	640
მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული ახალგაზრდული სერვისების შემუშავება	8X20=160	9X30=270	8X30=240	1X10=10	7X10=70	750
ახალგაზედული მუშაკის პროფესიის ინსტიტუციონალიზაცია	10X20=200	10X30=300	10X30=300	1X10=10	9X10=90	900

ზემოთ განხილული სამი ალტერნატივის მულტიფაქტორული ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდა, რომ ხარისხიანი ახალგაზრდული სერვისების ხელმისაწვდომობის მიმართულებით არსებული გამოწვევების საპასუხოდ საუკეთესო გზა არის ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის ინსტიტუციონალიზაცია. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ალტერნატივები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და თითოეული მათგანის განხორციელება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენ ალტერნატივაზეც. დოკუმენტში განხილული პრობლემა კომპლექსურია და მისი გადაჭრის ალტერნატივებიც მრავალფეროვანია, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მათგანი განხორციელდეს თანმიმდევრულად.

რეკომენდაციები

საჯარო პოლიტიკის დოკუმენტში განხილული გამოწვევების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია ქვეყნის დონეზე განხორციელდეს ახალგაზრდული მუშაკის საქმიანობის როგორც პროფესიის აღიარება. შესაბამისად, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი რეკომენდაციები:

1. სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ მიერ ახალგაზრდულ სფეროში მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით შემუშავდეს ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის სტანდარტი, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი ახალგაზრდული მუშაკის ფუნქცია-მოვალეობები და პროფესიული კომპეტენციები. დოკუმენტის შემუშავების შემდეგ კი დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტოს“.

2. სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოსა“ და ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტოს“ მიერ შემუშავდეს ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის სტანდარტის

შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტი, რომელსაც დაეფუძნება მომზადება-გადამზადების პროგრამები.

3. სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოსა“ ან/და პროფესიული კოლეჯების, ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ შემუშავდეს ახალგაზრდული მუშაკების მომზადებისა და გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამები, რომლებიც დაეფუძნება ზემოთ აღნიშნულ საგანმანათლებლო სტანდარტს. მიზანშეწონილია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები/კურსები აკრედიტებული იყოს სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ.

4. მნიშვნელოვანია შემუშავდეს ახალგაზრდული საქმიანობის შედეგად განვითარებული კომპეტენციების, ასევე, პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკების გამოცდილების აღიარებისა და ვალიდაციის მექანიზმები.

5. ახალგაზრდული საქმიანობისა და მისი პოზიტიური შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით დაიგეგმოს და განხორციელდეს მრავალფეროვანი აქტივობები, როგორებიც არის ახალგაზრდული მუშაკების ფორუმი, წარმატებული ახალგაზრდული მუშაკების წახალისება, ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ვიდეორგოლების მომზადება და სხვა.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის N553 განკარგულება „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ.
   ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2314717?publication=0, ნანახია: 27 თებერვალი, 2023.
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის N349 განკარგულება „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (2015-2020 წწ.)“ დამტკიცების შესახებ.
   ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/410_47828_642801_349.pdf, ნანახია: 27 თებერვალი, 2023.
3. საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების სტატუსის შეფასება“ - კვლევის ანგარიში, თბილისი, 2019.
   ხელმისაწვდომია: 2015-2020-gegma.pdf , ნანახია: 27 თებერვალი, 2023.
4. სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“, „ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევა“ - კვლევის შედეგები, 2020.
   ხელმისაწვდომია: https://youthagency.gov.ge/ , ნანახია: 27 თებერვალი, 2023.
5. სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ და ფრიდრიხ ებერტის ფონდი, „ახალგაზრდების საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე“ - კვლევის ანგარიში, 2021.
   ხელმისაწვდომია: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/18399.pdf , ნანახია: 27 თებერვალი, 2023.
6. ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები წევრ სახელმწიფოებს, 2017.
   ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41rYP0e , ნანახია: 27 თებერვალი, 2023.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობა და დემოგრაფია, 2014-2022.
   ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2XeEJF6 , ნანახია: 27 თებერვალი, 2023.
8. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ.
   ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0, ნანახია: 27 თებერვალი, 2023.
9. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N606 დადგენილება „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026-ისა“ და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5675992?publication=0, ნანახია: 27 თებერვალი, 2023.